ISSUES OF THE HISTORY OF THE GEORGIAN CHURCH ON THE PAGES OF "MTSKEMSI" MAGAZINE

საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე

Grigol Khachapuridze.
Master of Theology. Doctoral student of Georgian University named after St. Andrew the First. Lecturer of Tbilisi Theological Academy-Seminary. Tbilisi, Georgia
ORGID ID: 0009-0009-9395-3743
(+995)555555111; grigol.khachapuridze@gmail.com

Abstract

The main task of “Mtskemsi” magazine, as it had been defined by the editorial board itself, was to bring the light of Christ into the consciousness of the people through popular articles and pamphlets with religious and moral content. Valuable and significant issues about the history of the Church of Georgia were systematically published in the magazine “ Mtskemsi” which

gave very important materials for scientific research in Georgian historiography. In this regard, the letters and the articles of Bishop Kirion, Bishop Leonidas, Decanus David Gambashidze, Sergi Gorgadze, and other researchers are particularly important. In 1887, in the ninth issue of the magazine “Pastir”, Bishop Kirion’s letter was published under the title: “a brief outline of Georgian church history.” Bishop Kirion extensively reviews the important issues of the history of the Georgian Church. He critically estimated Georgian historiography based on the historical situation.

The issue of the autocephaly of the Georgian Church was given a lot of space in the “Mtskemsi” magazine. In this respect, the letters of Bishop Leonidis, Dean Davit Gambashidze, and two unknown authors are outstanding. Based on historical sources, following the right reasoning, they fairly pointed out the need to restore the autocephaly of the Georgian Church. The last-mentioned magazine also published a letter from an unknown author, who drew attention to the situation of the Georgian clergy.

By comparing the current and the previous century clergymen, he drew a sharp line between them. Based on the historical context, he showed the merit of the old clergy before the nation and the country and pointed out the inaction of the present one.

Key words: Autocephaly, History of the church of Georgia, Historiography.

გრიგოლ ხაჭაპურიძე
თეოლოგიის მაგისტრი. წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი.
თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის
პედაგოგი. თბილისი, საქართველო.
ORGID ID: 0009-0009-9395-3743
(+995)555555111; grigol.khachapuridze@gmail.com

აბსტრაქტი

ჟურნალ„მწყემსის'' მთავარი ამოცანა, როგორც ამას თავად სარედაქციო კოლეგია განსაზღვრავდა, იყო რელიგიური და მორალური შინაარსის პოპულარული სტატიებითა და ბროშურებით ხალხის ცნობიერებაში ქრისტეს ნათლის შეტანა. ჟურნალ „მწყემსში'' სისტემატიურად ქვეყნდებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებაქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიისათვის მეტად ღირებულ, მეცნიერულ კვლევას წარმოადგენდა . ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოს ლეონიდის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის, სერგი გორგაძისა და სხვა მკვლევრებისწერილები და სტატიები. 1887 წელს ჟურნალ «Пастырь» მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა ეპისკოპოს კირიონის წერილი სათაურით: «Краткий очерк грузинской церковной истории.» ეპისკოპოსი კირიონი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს და ისტორიული მოცემულობის საფუძველზე, კრიტიკულად აფასებს ქართულ ისტორიოგრაფიას.ჟურნალ „მწყემსში''დიდი ადგილიეთმობოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ეპისკოპოს ლეონიდის, დეკანოზ დავით ღამბაშიძისა და ორი უცნობი ავტორის წერილი, რომლებიც ისტორიულ წყაროთა მოწმობის საფუძველზე, არგუმენტირებული მსჯელობის კვალდაკვალ სამართლიანად მიუთითებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე. აღნიშნულ ჟურნალში ასევე გამოქვეყნდა უცნობი ავტორის წერილი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ქართველი სამღვდელოების მდგომარეობის შესახებ. იგიძველი, წინა საუკუნის სამღვდელოებისა და ამჟამინდელი სასულიერო პირების ურთიერთშედარებით ავლებს მკვეთრ მიჯნას მათ შორის და ისტორიული მოცემულობის საფუძველზე, წარმოგვიჩენს ძველი სამღვდელოების დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე და ამის საპირისპიროდ გვიჩვენებს დღევანდელი სამღვდელოების პასიურობასა და უმოქმედობას.

საკვანძო სიტყვები: ავტოკეფალია, საქართველოს ეკლესია, ისტორიოგრაფია.

შესავალი

დავით ღამბაშიძის ჟურნალმა „მწყემსმა" დიდი სამსახური გაუწია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის

შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს. ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები და სტატიები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. ცხადია, ყველა ნაშრომი მეცნიერული თვალსაზრისით ერთი და იგივე ღირებულებისა არ არის, მაგრამ რამდენიმე ავტორის ნაშრომი ნამდვილად საყურადღებოა. მით უმეტეს, რომXX საუკუნის დამდეგს საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევით არცთუ ბევრი ავტორი იყო დაინტერესებული.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით შევაფასოთ ჟურნალ „მწემსში''ეპისკოპოს კირიონის (ერში გიორგი საძაგლიშვილის), ეპისკოპოს ლეონიდის (ერში ლონგინოზ ოქროპირიძის), სერგი გორგაძის, დავით ღამბაშიძის, ასევე ორი უცნობი ავტორის ღვაწლი.

მეთოდი

ნაშრომში ისტორიოგრაფიული კვლევის მეთოდით განხილულია ის მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხები, რომელიც ჟურნალ „მწყემსის'' ფურცლებზე იბეჭდებოდა. ამგვარი კვლევა საშუალებას გვაძლევს წყაროთა მოწმობის საფუძველზე, ობიექტურად გავიაზროთ ისტორიული სინამდვილე.

შედეგები

სასულიერო და საერო მკვლევრების მიერეკლესიის ისტორიის შესახებ ჟურნალ „მწყემსში'' გამოქვეყნებულისტატიები და წერილები საშუალებას გვაძლევს ისტორიული მოცემულობის კვალდაკვალ, წყაროთა ურთიერთშეჯამებისა და შეპირისპირების საფუძველზე, შევაფასოთ მკვლევართა სამართლიანი თუ ტენდენციური მიდგომები. უნდა აღი_ ნიშნოს ის, რომ ძალიან ბევრი ავტორი საისტორიო წყაროთა მოწმობის საფუძველზე ახერხებს ობიექტური სინამდვილის წარმოჩენას. უფრო ხშირად კი არგუმენტირებული მსჯელობის შესაბამისად, გამოთქვამენ მეტად საყურადრებო მოსაზრებებს. ამ კუთხით, სხვა ავტორებთან ერთად, მეტად საინტერესოა ეპისკოპოსი კირიონის, ეპისკოპოსი ლეონიდის, სერგი გორგაძის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილები.

მსჯელობა

1887 წელს ჟურნალ «Пастырь»მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა ეპისკოპოს კირიონის წერილი სათაურით: «Краткий очерк грузинской церковной истории.»

აღნიშნულ წერილში ეპისკოპოსი კირიონი მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის ისტორიოგრაფიას. იგი კრიტიკულად აფასებს მას და არსებული პრობლემის შესახებ არგუმენტირებულად მსჯელობს. კერძოდ, იგი შენიშნავს შემდეგს: ისმის კითხვა: რატომარ გვაქვს დღემდე სრულად ჩამოყალიბებული საქართველოს ეკლესიის ისტორია, რომელიც თავისუფლად დააკმაყოფილებდა თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს? პირველ რიგში, იმიტომ, რომ ერთმა ნაწილმა აღნიშნულ მეცნიერებასთავი, უბრალოდ, არ მიუძღვნა, ხოლო მეორე ნაწილმა ვერ შეძლო ამის ბოლომდე

გაკეთებაო. ყოველივე ამის კვალობაზე ეპისკოპოსი კირიონი სამართლიანად შენიშნავს შემდეგს: «Это последнее видно из того что, ни у кого из наших церковных историков не было исходной точки зрения, не было так сказать, канвы, по которой они вышивали бы драгоценные узоры грузинской религиозной жизни. Все они довольно усердно передавали исторические события с летописной верностью, но в не надлежащего уяснения их внутреннего смысла и значения. Поэтому существующие руководства по грузинской церковной истории, имеют форму сборников церковно-исторических фактов, более или менее важных, но недостаточно сгруппированных». (Sadzaglov, 1887A, გვ.1.) იქვე ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მართებულად დასძენს შემდეგს, რომ ისინი (საისტორიო მწერლები) მხოლოდ მშრალ ისტორიულ მოცემულობას აღწერენ, რომელიც არ არის დაჯგუფებული და, შესაბამისად, ხშირად არ მოდის კიდეც ერთმანეთთან კორელაციაში. ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი გვაცნობს თავის განზრახვას, რომ იგი, თავის მხრივ, შეეცდება შეადგინოს გეგმა, რომელიც იქნება მინიატურული გამოსახულება მთელი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა. ეპისკოპოსი კირიონი გვახსენებს საქართველოს ეკლესიის პირვანდელ მდგომარეობას, როცა ის ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო ანტიოქიის საპატრიარქოზე. ხოლო შემდეგ, თვით იმპერატორისა და ანტიოქიის პატრიარქის ნებართვით, საქართველოს ეკლესია გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი, როგორც მსოფლიო ეკლესიის სრულიად დამოუკიდებელი შტო სხვა მსოფლიო პატრიარქებს შორის.ბოლოს იგი შეურთდა რუსეთის სინოდს როგორც სამიტროპოლიტო, რის შემდეგაც უკვე საქართვლოს ეკლესიაში ჩამოყალიბდა საეგზარხოსო. (Sadzaglov, 1887A, გვ. 2.) ყოველივე ამის კვალობაზე, შენიშნავს ეპისკოპოსი კირიონი, საქართველოს ეკლესიის ისტორია შეიძლება დავყოთ ხუთ პერიოდად. პირველი პერიოდი საქართველოს ეკლესიისაიყომისი დამოკიდებულება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან მოყოლებული ანტიოქიის საპატრიარქომდე, ვიდრეV საუკუნემდე. (Sadzaglov, 1887A, გვ. 2) ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი მოგვითხრობსწარმართული საქართველოს მომზადებას ქრისტიანობის მისაღებად, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ებრაელებს. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ წმინდა მოციქულების ქადაგებამ ქრისტიანობის გავლენა გაზარდა ივერიაში, შესაბამისად, იგი შეურთდა კიდეცქრისტიანულ საზოგადოებას, სახელდობრ: კაპადოკიელებს, ხერსონელებს, ალბანელებს, ბერძნებსა და სომხებს. იქვე ეპისკოპოსი კირიონი საგულდაგულოდ აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოშიII -III საუკუნეებში, ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან, გავრცელდა ქრისტიანობაო. მიზეზი საქართველოს ადრეულ წლებში გაქრისტიანებისა, წერს ეპისკოპოსი კირიონი, არის ქართველთა განმანათლებელიმოციქულთასწორი წმინდა ნინო.

ეპისკოპოსი კირიონიაღნიშნულ წერილში ვრცლად მოგვითხრობს იმ მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც გაჩნდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის და რომლის მიზეზიც სწორედაც რომ ქრისტიანული სარწმუნოება იყო. (Sadzaglov, 1887A, გვ. 2) ბიზანტიის იმპერატორი და პატრიარქი, შენიშნავს ეპისკოპოსი კირიონი, პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეული საქართველოს

მიმართ, რაც გამოიხატებოდა მათი მხრიდან ტაძრების აშენებასა და საღვთისმსახურო წიგნების გამოგზავნაში. ამ დროისათვის საქართველოს ეკლესია ეკუთვნოდა ანტიოქიის საპატრიარქოს.

ეპისკოპოსი კირიონი მოგვითხრობს ბიზანტიაში გავრცელებული ნესტორიანელთა დაევტიქიანელთა ერესის შესახებ, რომელსაც საქარ_ თველომ, როგორც იგი შენიშნავს, წმ. ვახტანგ გორგასლის წყალობით თავი დააღწია. ე. ი. საქართველოს ეკლესიაშიერეტიკულ სწავლებას არასოდეს არ შემოუღწევია. (Sadzaglov, 1887A, გვ. 3.)

ყოვლადსამღვდელო კირიონი აღგვიწერს საქართველოს ეკლესიის მეორე პერიოდს, რომელიც მოიცავს მისი დამოუკიდებლობიდან VII საუკუნის დასასრულამდე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქზე საგრძნობლად შესუსტდა. საქართველოს ეკლესია სულ უფრო და უფრო იძენდა დამოუკიდებლობას. ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ აღნიშნავს ეპისკოპოსი კირიონი,ჯერ ნებას რთავდნენ ქართველებს თვითონ აერჩიათ მთავარეპისკოპოსი, შემდეგ აერჩიათ კათოლიკოსის კანდიდატი და ანტიოქიაში გაეგზავნათ საკურთხევლად. საქართველოში ირჩევდნენ კათოლიკოსს და შემდეგ აგზავნიდნენ მას ანტიოქიაში ხელდასხმის მისაღებად. ამ მოქმედების შემდეგ და ამგვარი დათმობების შედეგად, საქართველოს ეკლესია კიდევ უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდა ანტიოქიის საპატრიარქოსგან. (Sadzaglov, 1887: A, გვ.3.) ამგვარი ისტორიული მოცემულობის კვალდაკვალ, ეპისკოპოსი კირიონი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ გარემოების შედეგად, საქართველოს ეკლესია de jure ნაწილობრივ ემორჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქს, ხოლო რეალური მოცემულობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსოლუტურად სხვა იყო, ანუ ის თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოო.

ზემოთ აღნიშნული ჟურნალის მომდევნო ნომერში გრძელდება ეპისკოპოს კირიონის წერილი. იგი ამჟამად მოგვითხრობს ცამეტი ასურელი მამის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული ეკლესიის სულიერი აღორძინების საქმეში. (Sadzaglov, 1887B, გვ 1) იქვე ეპისკოპოსი კირიონი აგრძელებს თხრობას ზემოთ აღნიშნული პერიოდის შესახებ და წერს, რომIII პერიოდი მოიცავს დროს VIII საუკუნიდანXIII საუკუნემდე. ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი მოგვითხრობს ისლამიზმის გამანადგურებელ შედეგებზედა სამართლიანად შენიშნავს მის წინააღმდეგ ქართველთა მედგარ ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის საქმეში. ქართველებმა ბევრი ტანჯვა და განსაცდელი გადაიტანეს მუსულმანებისაგან იმიტომ, რომ ბოლომდე დაიცვეს ქრისტიანული სარწმუნოება.ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი ყურადღებას ამახვილებს იმ საერთო ისტორიულ მოცემულობაზე, რომელმაც საგრძნობლად შეასუსტა მუსულმანური სამყარო, რის გამოც საქართველოს მიეცა საშუალება,შეძლებისდაგვარად გაძლიერებულიყო. (Sadzaglov, 1887B, გვ. 2.) ყოველივე ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი თამარის მეფობის პერიოდს გვახსენებს და დაწვრილებით აღწერს იმ დიდ საქმეებს, რომლებმაც განაბრწყინა ეკლესია და გააძლიერა სახელმწიფო. (Sadzaglov, 1887B, გვ 2-3)

ეპისკოპოსი კირიონი მოგვითხრობს ისეთ საკითხზე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, როგორიცააქრისტიანული ეკლესია აფხაზეთსა და კოლხეთში. იგი თავშივე აღნიშნავს, რომ ხსენებული ეკლესია იმპერატორ იუსტინიანეს დროიდან დამოკიდებული იყო საბერძნეთზე, მაგრამ დროთა განმავლობაში საბეძნეთსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შორის ურთიერთობების სირთულემ თანდათანობით შეასუსტა ბერძნული ბატონობა და, შესაბამისად, რადგან გაიზარდა ადგილობრივი მფლობელების დამოუკიდებლობა, მსგავსადვე გაიზარდა ეკლესიის დამოუკიდებლობაც. საეკლესიო ადმინისტრაციის წარმომადგენლები კოლხეთსა და აფხაზეთში, შენიშნავს ეპისკოპოსი კირიონი, უკვე სარგებლობდნენ უზენაესი მმართველობის პირობებით, მაგრამ ბერძნული ეპარქიის დაკვირვების ქვეშ. აფხაზეთის ავტოკეფალია კი, წერს ეპისკოპოსი კირიონი, დამტკიცებული იყო სევასტოპოლში, სოხუმსა და ფაზისში. (Sadzaglov, 1887B, გვ. 3.)

ეპისკოპოსი კირიონი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს მეოთხე პერიოდის შესახებ, რომელიც გრძელდებაXII საუკუნიდან 1793 წლამდე. იგი აღნიშნულ პერიოდს საერთო ისტორიულ ჭრილში განიხილავს და ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო ისტორიულ პროცესებზე, რომლებმაც, ბუნებრივია, გარკვეული სურათი შეცვალა როგორც ქართულ სახელმწიფოსთან, ასევესაქართველოს ეკლესიასთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსი კირიონი შენიშნავსშემდეგს:ამ პერიოდის დასაწყისში იწყება მძიმე და განგრძობითი გამოცდა საქართველოს ეკლესიისათვის, რომელიც აფერხებს მის ცოცხალ განვითარებას. იქვე იგი იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ აღნიშნავს, რომლებმაც გავლენა მოახდინა საქართველოზე, კერძოდ, რუსეთი დაპყრობილი იყო მონღოლების მიერ, ხოლო ბიზანტია და სლავური მართლმადიდებლური ქვეყნები - დუნაი და ტრაპიზონის სამეფო, თურქებისა და ოსმალების მიერ. (Sadzaglov, 1887B, გვ. 3-4.)

1901 წელსგაზეთ„მწყემსის" ოცდამეორე ნომერშიგამოქვეყნდა სერგი გორგაძისსტატია სათაურით „საქართველოს ეკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკლესიას: ბერძნებთან ერთად თუ შემდეგ?'' ავტორი აღნიშნულ სტატიაში იმოწმებს ისტორიულ წყაროებს, კერძოდ კი,XI-XIII საუკუნის ქართულ საეკლესიო გუჯარებს. მას მოჰყავს მცირე ამონარიდი ხსენებული გუჯარებიდან.იგი წერს: „ამრიგად სწორა ოთხასი წლის უკან, შემდგომ საბერძნეთის ეკლესიის დასავლეთის ეკლესიისაგან განყოფისა, საქართველოს ეკლესიის თავი კათალიკოზი გიორგი, შესაძლოდჰრაცხს მსოფლო პატრიარქთა შორის მეხუთე პატრიარქიც მოიხსენიოს.'' (გორგაძე, 1901, გვ. 3-4) ყოველივე ამის კვალობაზე, სერგი გორგაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ: საქართველოს ეკლესია საჭიროდ არ თვლიდა,მიებაძა საბერძნეთის ეკლეიისათვის, ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოს ეკლესია თავს იმდენად დამოუკიდებლად მიიჩნევდა, რომ მას შეეძლო თავისი განსხვავებული და დამოუკიდებელი აზრი ჰქონოდა ისეთ საეკლესიო მოვლენის შესახებ, როგორიც იყო რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიების განხეთქილება. ამ აზრის მტკიცებულების კიდევ უფრო ნათელსაყოფად, ავტორს მოჰყავს თამარ მეფის მიერ გელათის

მონასტრისადმი მიცემული გუჯარი, სადაც აშკარად და ცალსახადჩანს,რომ ლიონის უნიამდე 1274 წ. საქართველოს ეკლესია სახალხოდ აღიარებდა თავის სულიერ კავშირს დასავლეთის ეკლესიასთან. (გორგაძე, 1901, გვ. 4.)

1901 წელს ჟურნალ „მწყემსის'' მეთვრამეტე ნომერშიდაიბეჭდა იპოლიტე ვართაგავას წერილი სათაურით: "ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. ივერიის მონასტერი". იპოლიტე ვართაგავა ათონის მთაზე დაარსებულ ქართველთა მონასტრის შესახებ მოგვითხრობს და აღნიშნავს, რომ ქართველი ბერების ათონის მონასტერში ცხოვრების შესახებ მოწმობენ ის „წერილობითი საბუთები'', რომლებიც ივერიის მონასტერში მოიპოვება. იქვე ავტორი ხატმებრძოლეობის დროს მომხდარი იმ საყოველთაოდ ცნობილი სასწაულის შესახებ მოგვითხრობს, როცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ათონის მონასტერს ზღვით მიადგა, რომლის მიახლების ღირსი სიწმინდით გამორჩეული ქართველი ბერი გაბრიელი გახდა.„ათონზე ქართველი ბერების გამრავლება, აღნიშნავს იპოლიტე ვართაგავა ახალი მონასტრის აშენებასაც გულისხმობდა''. ავტორი ქართველთა მონასტრის ისტორიას ვრცლად აღგვიწერს. იგი იქვე აღნიშნავს ქართველი მეფეების ქველმოქმედებას ხსენებულ მონასტრებთან მიმართებით. იპოლიტე ვართაგავა ქრონოლოგიური სიზუსტის დაცვით ივერიის მონატერში მოღვაწე ბერების სახელებს გვაცნობს და ყურადღებას ამახვილებს მათ საგანმანათლებლო და ღვთივსათნო მოღვაწეობის შესახებ. კერძოდ, წერილის ავტორი სამართლიანად შენიშნავს შემდეგს: „ივერიის მონასტერს, საზოგადოდ, დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოდ ქართველებზე: აქ საბოლოოდ გადაითარგმნა ყველა საეკლესიო წიგნები და წმინდა მამათა ნაწარმოებანი. ამ მონასტერში აღიზარდნენ შესანიშნავნი, ღრმად განათლებულნი და ნიჭიერნი ქართველნი მწერალნი: ღვთისმეტყველნი, ისტორიკოსნი, ფილოსოფოსნი, პიიტიკოსნი... აქ იყო აღშენებული ქართველებისთვის უმაღლესი სკოლა, სადაც ნიჭიერნი ახალგაზრდანი იღებდნენ ღრმა, საფუძვლიან და ყოველმხრივ განათლებას". (ვართაგავა, 1901A, გვ.4-7).

იმავე წლის ჟურნლ "მწყემსის" მეცხრამეტე ნომერში გრძელდება იპოლიტე ვართაგავას წერილი სათაურით: "ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი პალესტინაში". ავტორი პალესტინაში მდებარე ჯვრის მონასტრის შესახებ მოგვითხრობს, კერძოდ, იგი გვაცნობს ერთ-ერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითთითქოს ქართველთა მეფე მირიანმა ჯერ კიდევ IV საუკუნეში შეიძინა ეს მონასტერიო. შემდეგ კი შენიშნავს წერილის ავტორი, ტიმოთე დიდის მოწმობით, ვახტანგ გორგასალმა აქ მრავალი მონასტერი ააშენაო.

იპოლიტე ვართაგავა ამ უკანასკნელის მოსაზრებას, თავის მხრივ ამაგრებს ჯვრის მონასტრში არსებული მხატვრობით, სადაც გამოსახულნი არიან მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატი და პროხორე. იქვე წერილის ავტორს მოჰყავს ისტორიკოს დავით ბაქრაძის შეხედულება, რომელსაც ცალსახად არ იზიარებს და ეწინააღმდეგება. კერძოდ, ბაქრაძე მიიჩნევს, რომ „იმ მოთხრობას ვითომც მირიან მეფეს შეეძინოს ადგილი იერუსალიმში და ვითომც ვახტანგ გორგასლანს დაეპყროს პალესტინა,

გადმოგვცემენ მხოლოდ ქართული წყაროები. ამ ლეგენდას მანამდე ექნება ლეგენდარული ხასიათი სანამ ის შესაბამისი საბუთებით არ დამტკიცდება.''

იპოლიტე ვართაგავას დავით ბაქრაძის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მოჰყავს, ის ცნობები ჯვრის მონასტრის შესახებ, რომელებიც, მისი აზრით, ამოწმებენ ზემოთხსენებული ტიმოთე დიდის შეხედულებას. „თითქმის ყველა მოგზაური, -აღნიშნავს იპოლიტე ვართაგავა,- 1834 წლიდან, ამბობს ტაბლერი, ერთხმად იმეორებენ, რომ ჯვრის მონასტერი აღშენებულია იმპერატრიცა ელენესაგან (კონსტანტინე დიდის დედა), მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ მოიპოვება. უფრო სარწმუნოა ის, განაგრძობს ტაბლერი, რომ ჯვრის მონასტერი აღშენებულია ქართველთა მეფის, ვახტანგ გორგასლანისაგან მე-V საუკუნეში იმ მიწაზე, რომელიც კონსტანტინე დიდმა აჩუქა მირიან მეფეს. ტაბლერის აზრით, პროხორე შავთელმა მხოლოდ განაახლა ჯვრის მონასტერი, ის მას არ აღუშენებია პირველად. (ვართაგავა, 1901B, გვ. 3-5.)

იპოლიტე ვართაგავა ისტორიული მოცემულობის კვალდაკვალ თავისი შეხედულების გასამყარებლად იმოწმებს ყველა იმ ეპიზოდსა და მოვლენას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ჯვრის მონასტერთან. კერძოდ, იგი წერს: „იერუსალიმში ფრანგების მფლობელობის დროს 1099-1138 წ. ჯვრის მონასტერი ეკუთნოდა ქართველებს და წინამძღვრად იყო მასში ქართველი. იმ დროის მწერლები ამ მონასტერს ყოველთვის უძახიან „monasterium georgianum''. მე -XIII საუკუნის პირველ ნახევარში მაჰმადიანებმა წაართვეს ჯვრის მონასტერი ქართველებს და გადააქციეს მეჩეთად, მაგრამ 1305 წ. ისევ უკანვე დაუბრუნეს ქართველებს.'' 1320 წელს კი აღნიშნავს, იგი, ერთ-ერთი მოგზაურის შენიშვნით, ჯვრის მონასტერი ეკუთნოდა ქართველებს, ხოლო 1520 წელს, როცა იერუსალიმი დაპყრობილ იქნა ოსმალებისაგან, ამ დროს ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთნოდათო". (ვართაგავა, 1901B, გვ.4).

საკითხის კიდევ უფრო მეტად ნათელსაყოფად იპოლიტე ვართაგავას მოყავს რუსი მოგზაურის - ბარსკის - სიტყვები ჯვრის მონასტრში არსებული ქართველ მეფეთა და პატრიარქთა სურათების ხილვის შესახებ. ბარსკი ამბობს, რომ ჯვრის მონასტერი აშენებულია ტატიანისაგან, ანუ დადიანისაგან. წერილის ავტორი ამ და სხვა მრავალი მოწმობის საფუძველზე მნიშვნელოვანწილად ახერხებს თავისი არგუმენტირებული მოსაზრების სიმართლეში დაგვარწმუნოს. ყოველივე ამის შემდეგ იპოლიტე ვართაგავა ივერიისა და ჯვრის მონასტრების საგანმანათლებლო მნიშნელობაზე წერს, კერძოდ, იგი შენიშნავს: „ჯვრის და ივერიის მონასტრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოსთვის. აქ პირველად აღინთო ლამპარი ქართველთა სწავლა-განათლებისა. აქ გადაითარგმნა თვდაპირველად საეკლესიო წიგნები. აქ დაიწერა მრავალი საღვთისმეტყველო, ისტორიული და ფილოსოფიური და ორიგინალური თხზულებები. აქ დაარსდა შესანიშნავი წიგნთსაცავები, რომლებითაც სარგებლობდა ყველა სწავლა მეცნიერების მხურვალე ქართველი.''(ვართაგავა, 1901B, 4-5). აქ აღიზარდნენ, აღნიშნავს წერილის ავტორი, ისეთი საერო და სასულიერო მწერლები, როგორებიც იყვნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, პეტრიწი, შოთა რუსთაველი და სხვა.

1905 წლის ჟურნალ „მწყემსის“ მეთერთმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომრებში გამოქვეყნდა უცნობი ავტორის წერილი სათაურით: „საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ეხლა''. აღნიშნულ წერილში ავტორი დიდ გულისტკივილს გამოხატავს - ქართველი სამღვდელოების გამო. კერძოდ, იგი შენიშნავს, რომ ადრე ქართველების სათაყვანებელი სამღვდელოება „დღეს საგიობელ-ავად'' შექმნილა (მწყემსი,1905A, გვ.1). იქვე ავტორი ცხადად მიგვანიშნებს ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე თავისი სამღვდელოებისადმი. სახელდობრ, იგი შენიშნავს შემდეგს: „დღეს ქართველ ერს თვალი და ყური მისკენ მიუპყრია და სულგანაბული ელოდება მის ძველებურ აღმაფრთოვანებულ თაოსნობასა'' (მწყემსი, 1905A, გვ. 1). აქედან გამომდინარე, ავტორი ნათლად გვაჩვენებს, თუ რა როლი და მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ სამღვდელოებას საუკუნეების განმავლობაში, ქართული საზოგადოების გაჯანსაღებისა და განვითარების საქმეში. ყოველივე ამის შემდეგ ავტორი გამოთქვამსწუხილს ქართველი ერის სავალალო მდგომარეობის შესახებ. იგი წერს, რომ „ქართველმა ერმა ვერ შეითვისა უცხო ცხოვრების კანონები“ და „ჩვენი ეროვნების სასიცოცხლო მაჯისცემა შეაყენ-შეაფერხაო'' (მწყემსი,1905A, გვ.1). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე (ვგულისხმობთ ქართველი სამღვდელოების როლსა და დანიშნულებას), წერილის ავტორი სამართლიანად ბრალობს ქართველ სამღვდელოებას და მწუხარებით აღნიშნავს შემდეგს: „აი, ამისთანა გასაჭირში მყოფი ქართველი ერი ელოდება დღე-დღეზედ სამღვდელოების რიხიან ხმასა, სიმართლისათვის ხმის ამოღებას, რა თქმა უნდა, სამღვდელოებას, რომ დღემდეც ამოეღო ხმა დაკარგულის სახელის აღდგენისათვის, ძალიან კარგს იზამდა, მაგრამ პირი თევზივით წყლითა ჰქონდა დღემდე სავსე და ბევრის სათქმელითგან ცოტაოდენის თქმასაც ვერ ახერხებდა''. (მწყემსი, 1905A, გვ. 1-2).

ავტორი ძველი, წინა საუკუნის სამღვდელოებისა და ამჟამინდელი სასულიერო პირების ურთიერთშედარებით ავლებს მკვეთრ მიჯნას მათ შორის და ისტორიული მოცემულობის საფუძველზე, წარმოგვიჩენს ძველი სამღვდელოების დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე და ამის საპირისპიროდ გვიჩვენებს დღევანდელი სამღვდელოების პასიურობასა და უმოქმედობას (მწყემსი, 1905A, გვ, 2).

ხსენებულ წერილში ავტორი არაპირდაპირ, შეფარვით, ქვეტექსტით მიგვანიშნებს საოკუპაციო რეჟიმის უმძიმეს როლზე საქართველოს ისტორიაში. კერძოდ, იგი წერს: „ამ ოციოდე წლის წინათ ერთს რუსულ გაზეთში (ვგონებ „Современ известя''-ში ვიღაც მადლიანი წერდა- „სპარსთა,არაბთა, სელჯუკთა, მონგოლთა,ოსმალ-ლეკთა და სხ. იმდენი არ ავნო საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ერს, რამდენიც სხვა მტრებმაო'' (მწყემსი, 1905A, გვ. 2).ვფიქრობთ, „სხვა მტრებში'' ავტორი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ იგი ამის პირდაპირ დაწერას ერიდება. აქვე იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობას ქვეტექსტური სახით ეხმიანება და აღგვიწერს იმ სიკეთეს, რომელიც საქართველოს ეკლესიას მისი ავტოკეფალურობის დროს ჰქონდა. მართალია იგი(ავტორი) რიგი მიზეზების გამო სიტყვა ავტოკეფალიას არ ახსენებს,

მაგრამ, მის მიერ მითითებული წლები: 488-1811 წ.წ. ცხადად მიუთითებს, ჩვენ მიერ აღნიშნული მოსაზრების სისწორეს (მწყემსი, 1905A, გვ .2).

იმავე წლის ჟურნალ „მწყემსის'' მეცამეტე, მეთოთხმეტე ნომერებში გრძელდება აღნიშნული წერილი. ავტორი კიდევ უფრო მეტი პრინციპულობით ამხელს და განაქიქებს იმდროინდელი სამღვდელოების ქმედებებს. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახლად გახსნილი სასულიეროსემინარიებიმოწოდების სიმაღლეზე არ არიან. კერძოდ, იგი შენიშნავს: „უცხო ენაზედ ნასწავლმა სამღვდელოებამ უცხოურად იწყო ფიქრი, წერა და ცხოვრება. ესე გადაგვარებული სამღვდელოება ქართველ ერსაც ეუცხოვა და ალმაცერად ყურება დაუწყო'' (მწყემსი, 1905B, გვ. 1).

ავტორი კვლავინდებურად შეფარვით ამხელს რუსიფიკატორული რეჟიმის საეკლესიო პოლიტიკას, რომელმაც სამღვდელოება და საზოგადოება ერთმანეთისგან გახლიჩა. "ხალხისთვის უცხონი იყვნენ იგინი და ხალხი მათთვის'' დანანებით შენიშნავს წერილის ავტორი. (მწყემსი, 1905: B, გვ.1). ამის შემდეგაღგვიწერსსასულიერო პირების მეტად მძიმე მდგომარეობას, იგი წერს: სასულიერო პირები გაზარმაცდნენ, დაივიწყეს თავისი წმინდა საქმე, ზურგი შეაქციეს ძველ სასულიერო ტრადიციებს და ჩინოვნიკებად გადაიქცნენო.

ავტორი საზოგადოების ეკლესიისადმი გაუცხოებას არა თვით ამავე საზოგადოების „სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტებას'' აბრალებს, არამედ სამღვდელოების პიროვნულ გადაგვარებას. იგი მკაცრად მიჯნავს სამღვდელოების პიროვნულ-ზნეობრივ გადაცდომებსა და ქრისტეს მოძღვრების უცთომელ ჭეშმარიტებას, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია იმარხავს და რომლისთვისაც ქართულ საზოგადოებას არასოდეს არ უღალატია. (მწყემსი, 1905B, გვ.1-2). წერილის ავტორი კიდევ ერთხელ ადარებს თანამედროვე სამღვდელოებას უწინდელ სასულიერო პირებს და სახელობითად ჩამოთვლის წარსულში მოღვაწე იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს როგორც საერო, ისე საეკლესიო საქმეების აღორძინებისათვის. ამ მოცემულობიდან ავტორს გამოსავლად მიაჩნია „მთელი ქართველი ერის შეერთება, ერთის სურვილით აღჭურვა.''(მწყემსი, 1905B, გვ.3).

ამ მოცემულობიდან ავტორს გამოსავლად მიაჩნია „მთელი ქართველი ერის შეერთება, ერთის სურვილით აღჭურვა.'' იქვე იგი დანანებით შენიშნავს, რომ სწორედ „შინაური მტრობა'' უკან ხევს და ძალას აცლის ქართველობას. „ერთმანეთის წაკიდებით, - წერს წერილის ავტორი,- ერთმანეთს დაღუპავენ, ერთმანეთს ამოწყვეტენ, და ჩვენი სამშობლო სუფრა, სეირის მაყურებელ მტერს დარჩება.'' (მწყემსი, 1905B,გვ. 3).

და ბოლოს ავტორი დასკვის სახით შენიშნავს: „თუ ათასში ერთხელ თვით საქმე, რამ წაგვიხდენია, უთქმელობით უფრო მრავალი საქმე წავახდინეთ და ცოდვა თავს მოვიხვიეთ.''

1905 წლის ჟურნალ „მწყემსის'' 21-ე ნომერში გამოქვეყნდა დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილი სათაურით „ავტოკეფალია". დეკანოზი თავის წერილში მოგვითხრობს პროფესორ ი.ი სოკოლოვის მოხსენებაზე, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხებოდა. როგორც დავით

ღამბაშიძე შენიშნავს, სოკოლოვი და არა მარტო იგი, დარწმუნდა, რომ „ჩვენი ეკლესია ტყუილა უმიზეზოდ არის მოკლებული თავის უფლებას, რომელი უფლებაც მას ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს'' (ღამბაშიძე, 1905, გვ .7).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საგანგებოდ არ აღნიშნავს იმ ყურით მოთრეული არგუმენტის (თითქოს საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებადიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული) ნამდვილ შეფარულ მიზანს. ჩვენი აზრით,აღნიშნული წერილის სულისკვეთებიდან გამომდინარე, იგი ქვეტექსტით მაინც ნათლად იკითხება. დეკანოზი დავით ღამბაშიძე უპირისპირდებარა მოსაზრებას, ავტოკეფალიის არმინიჭების აბსურდულ მიზეზებთან დაკავშირებით, და არგუმენტირებული მსჯელობის კვალდაკვალ გვთავაზობს იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებითაც თავისუფლადშესაძლებელია კიდეც აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა. კერძოდ, დავით ღამბაშიძე შენიშნავს: "მაგრამ ჩვენის აზრით ის საეკლესიო მამულები, რომლებიც მთავრობამ ჩამოართვა ეკლესიას, უნდა დაუბრუნდეს. თუნდ, რომ არც ეყოს, თავისუფალი მაინც ექმნება ჩვენი ეკლესია იმ ბორკილებისგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია'' (ღამბაშიძე, 1905, გვ.7). იქვე იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მთავარი არ არის ეპისკოპოსისთვის და, ზოგადად, სასულიერო პირისთვის, დიდი შემოსავალი. თუკი ადრე, ძველ დროში, აგრძელებს იგი, ჩვენი საეკლესიო მამულები მშვენივრად აკმაყოფილებდნენ ეკლესია-მონასტრებს და სამღვდელოებას, ნუთუ დღესაც ამასვე ვერ შეძლებსო? (ღამბაშიძე, 1905, გვ.7).

დეკანოზ დავით ღამბაშიძისათვის, როგორც ჭეშმარიტი მწყემსისათვის, ერთობ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. იგი ჩვეულებრივ ქრისტიანულ წესად მიიჩნევს ამ დიდი საქმისთვის მატერიალური კეთილდღეობის შეზღუდვას და ბრძანებს: "ჩვენთვის დიდად სასურველია კათალიკოსიც, ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც ზომიერად, ქრისტეს მცნებისამებრ მცხოვრებნი და არა დიდი ჯამაგირების მიმღებნი და ძვირფასი პორფირით და ბისონით მოსილნი... საჭიროა არა გარეგანი ბრწყინვალება, არამედ შინაგანი.'' ამის შემდეგ დეკანოზი ღამბაშიძე პირდაპირ და გადაჭრით ამბობს, რომ საქართველო გამოყოფას კი არ ითხოვს რუსეთისაგან, არამედ ავტონომიურ მმართველობას, კათალიკოსის დანიშვნას, რასაც მოციქულების კანონები განსაზღვრავენ კიდეც (ღამბაშიძე, 1905, გვ.8).

1906 წლის ჟურნალ "მწყემსის" მერვე ნომერში გამოქვეყნდა ეპის-კოპოს ლეონიდი ოქროპირიძის წერილი სათაურით: „საყურადღებოდ საქართველოს სამღვდელოებისა,'' რომელშიც იგიყურადღებას ამახვილებს "Церковные Ведомости''-ის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში დაბეჭდილ წერილზე „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ''. როგორც ეპისკოპოსი ლეონიდი შენიშნავს: „ვითომდა ქართველი სოფლის მღვდელი წერს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა ხელოვნურადაა წამოყენებული არეულობის შესაქმნელადო'' (ოქროპირიძე, 1906, გვ.1). ეპისკოპოსი ლეონიდი საკითხის სიმძიმის უფრო ნათელსაყოფად ციტირებს ამ ვითომდა სოფლის მღვდლის სიტყვებს: კერძოდ, „ზომიერების

მიმდევარ ქართველ მღვდლებს არ გვესაჭიროება არავითარი ავტოკეფალობა (ოქროპირიძე, 1906, გვ.1). ჩვენ მუდამ-დღე ვლოცულობთ ეკლესიათა ერთობისათვის და არა განყოფისათვის. ქრისტიანობა უმაღლესია ვიდრე ეროვნული ვიწრო ფარგალი. ქრისტიანობისათვის არ არს ჰურიაობა, არცა წარმართობა, არა არს მონები, ყველანი ერთ ვართ ქრისტე იესოს მიერ (გალ 3.28) ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აღსრულდება მაცხოვრის სიტყვები "და იყვნენ ერთ სანწყსო და ერთ მწყემს'' (ოქროპირიძე,1906, გვ. 1). ეპისკოპოსი ლეონიდი სამართლიანად განაქიქებს ხსენებული გაზეთის "Церковные Ведомости''-ს წერილს და ბრძანებს, რომ: "თუ ვინმე ამ წერილის პათოსს და შინაარსს დაუჯერებს, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა მოუთხოვია მხოლოდ სამღვდელოების მცირე ჯგუფსო. ამ წერილის შემდეგ რა უნდა იფიქროსწმ. სინოდმა ჩემსსინდისზე და პატიოსნებაზე, -წერს ეპისკოპოსი ლეონიდი, - „როცა სიტყვით დაწერილობით ვარწმუნებდი სინოდს, რომ ავტოკეფალიას თხოულობს საქართველოს სამღვდელოება, ესაა შეურყეველი რწმენა სამღვდელოესობისა.ვერა-გვარი ქვეყნიური ძალა ვერ აღმოფხვრის ამ რწმენას სამღვდელოების გონებიდან, არაგვარ კომპრომისებზე არ გაცვლის იგი ამ რწმენას და თუ საჭირო იქნება არც არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება-მეთქი ამ გულითადი საწადელის განხორციელებას'' (ოქროპირიძე, 1906, გვ.1). მოცემულ გარემოებათა კვალდაკვალეპისკოპოსი ლეონიდი მართებულად აქარწყლებს ყველა იმ ბრალდებას, რომლებიც ისმის ხსენებულ რუსულ პრესაში, კერძოდ, იგი ბრძანებს: „განა საჭირო იყო კიდევ ჩემთვის რაიმე ვექილობა სამღვდელოების მხრივ შემდეგ იმ ვრცელი, დასაბუთებული და მედგარი პეტიციებისა, რომლებითაც სამღვდელოებამ მიმართა შარშან?'' მას კარგად ესმის რა ამგვარი მზაკვრული, შორს გამიზნული, საქართველოს ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯებისა, იგი დაბეჯითებით მოუწოდებს ქართველ სამღვდელოებას, ხმა აიმაღლოს ამგვარ ცილისმწამებლურ და ავტოკეფალიის საწინააღმდეგო განცხადებებზე, რომლებიც დიდ ზიანს მიაყენებს კიდეც საქართველოს ეკლესიას. ყოველივე ამის შემდეგ ეპისკოპოსი ლეონიდი ამ მძიმე ვითარებიდან გამოსავლის სახით საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას სთავაზობს შემდეგს: „ყოველი ბლაღოჩინი დაიბარებს თავისი ოლქის სამღვდელოებას, გააცნობს მას მოყვანილი წერილის შინაარსს, სხვებსაც მის მსგავსს, ბოლოს სამღვდელოების სრული თანხმობით, გარეშე ყოველი ძალდატანებისა, თანახმად მღვდლების სვინდისისა, დამსწრენი ადგენენ დაახლოებით ამისთანა შინაარსის ოქმს:ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომსწრენი,ამით ვაცხადებთ პეტიციით ვთხოულობდით და დღესაც მტკიცედ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას'' (ოქროპირიძე, 1906, გვ.2).

1906 წლის ჟურნალ „მწყემსის'' მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილი სათაურით: "რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე?'' აღნიშნულ წერილში ავტორი მოგვითხრობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. იგი საგანგებოდ შენიშნავს, რომ, საქართველოს

ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს დიდი გულისყურით ადევნებს თვალს ქართული საზოგადოება, „რომელნიც დაინტერესებულნი არიან სარწმუნოების საქმით.'' (ღამბაშიძე,1906, გვ. 5) დეკანოზი დავით ღამბაშიძე მოგვითხრობს პეტერბურგში ყოვლადსამღვდელონი კირიონისა და ლეონიდის უწმინდეს სინოდში მიწვევის შესახებ, სადაც მსჯელობა იყო ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით.'' (ღამბაშიძე,1906, გვ. 5) „ზოგიერთი პირები, აღნიშნავს წერილის ავტორი, ამტკიცებდნენ, რომ თურმე საქართველოს ეკლესიას არასოდეს ჰქონია მინიჭებული ავტოკეფალიაო. ბეჭდვითი სიტყვამ, - წერს დავით ღამბაშიძე,- მეცნიერებმა და თვით ჩვენმა ეპისკოპოსებმა აშკარად დაამტკიცეს, რომ საქართველოს ეკლესია მოციქულების კანონებისამებრ იყო ავტოკეფალური და არც ერთ უცხო ეკლესიას არ ჰყავდა იგი დამონებული.'' (ღამბაშიძე,1906, გვ.1). აქვე ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მიუხედავად მრავალი მტკიცებულებისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ხელოვნურად აფერხებდა უწმინდესი სინოდი'' (ღამბაშიძე,1906, გვ.1) ამის შემდეგ წერილის ავტორი საუბრობს იმ ხელისშემშლელ ბარიერებზე, რომლებსაც ავტოკეფალიის მოწინააღმდეგები ქმნიდნენ. „ბევრს ამ მოწინააღმდეგეთა,- შენიშნავს დეკანოზი დავით ღამბაშიძე,- არც კი ესმით სრულებით თუ რა არის ეკლესიის ავტოკეფალობა. ბევრს ჰგონია,რომ ავტოკეფალობა ერთი სახელმწიფოს ორ სახელმწიფოდ გაყოფა იყოს. ზოგიერთებს კერძო ინტერესები აქვსთ სახეში და ამისთვის ექსარხოსობის მოშლა მათ დიდ უბედურებად მიაჩნდათ.'' (ღამბაშიძე,1906, გვ.1).დავით ღამბაშიძის აზრით, საჭიროა დეპუტაციამ მის ბრწყნვალებას აუხსნას, რომ „საქართველოს ეკლესიის ხსნა შეუძლია, მხოლოდ მოციქულების და მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად მართვა-გამგეობის აღდგენას და არა ბიუროკრატიულ წეს-წყობილებას''. (ღამბაშიძე,1906,გვ. 2)

1906 წლის ჟურნალ „მწყემსის'' პირველ და მეორე ნომრებში ავტორის ვინაობის მითითების გარეშე გამოქვეყნდა წერილი სათაურით "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურ მართვა-გამგეობის შესახებ.'' მართალია,- შენიშნავს წერილის ავტორი,- აღნიშნული საკითხი საქართველოს ეკლესიაში ყოველთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მანიფესტის შემდეგ ეს საკითხი კიდევ უფრო გაცოცხლდაო (მწყემსი, 1906 , გვ.6). წერილის ავტორი მოგვითხრობს იმ პეტიციების შესახებ, რომლებიც იგზავნებოდა კომისიაში როგორც საერო, ისე სასულიერო წოდებისაგან. „ამ პეტიციებში, აღნიშნავს წერილის ავტორი, ცხადად და აშკარად იყო აღწერილი დღევანდელი ნამეტნავად გამწვავებული დამოკიდებულება სამღვდელოთა და სამრევლოთა შორის.'' (მწყემსი, 1906, გვ.6).იქვე ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თითქმის ყველა პეტიციებში გატარებული იყო ის აზრი, რომ ჩვენ საქართველოს ეკლესიას მოესპო წინანდელი ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა, რომ ჩვენი ეკლესია და სარწმუნოება დასცა, როგორც ბიუროკრატიულმა წეს-წყობილებამ აგრეთვე აღრჩევითი წესის მოსპობამ, რომელიც წინააღმდეგობაშია მოციქულებისა და ეკლესიური კრების დადგენილებათა'' (მწყემსი, 1906, გვ.6.).ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს წმ. სინოდის გადაწყვეტილების შესახებ. კერძოდ, შენიშნავს

წერილის ავტორი,წმინდა სინოდმა განიზრახა სამიტროპოლიტო ოლქების დაარსება და ერთ- ერთ ოლქში მოჰყვა თურმე კიდეც საქართველო. (მწყემსი, 1906,გვ. 6). სწორედ ამ კითხვით მიმართა სინოდმა მღვდელმთავრებს, თუ რამდენად სასარგებლო იქნებოდა ის. „გამორჩეული და ვრცელი პასუხი'' წარუდგენია იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდის, რომელსაც შეუერთდნენ სხვა ქართველი მღვდელმთავრებიც, რომლებმაც სიტყვიერად განუცხადეს ეგზარქოსს, რომ: "თუ ავტოკეფალიური მართვა-გამგეობა არ მიენიჭა საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე, შემდეგ ამა რიცხვისა საქართველოს სამღვდელოება და საერო წოდება თვითონ აღიდგენს ავტოკეფალიურ მართვა- გამგეობას'' (მწყემსი, 1906, გვ. 6). წერილის ავტორი დეტალურად აღგვიწერს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს. იგი აუცილებლად მიიჩნევს, რომ თბილისში შეიკრიბოს სამღვდელოებისაგან არჩეული დელეგაცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა. ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ზემოაღნიშნული დელეგაციის შეკრებასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. საბოლოოდ, კრების თავმჯდომარედ,- შენიშნავს წერილის ავტორი,- აირჩიეს დეკანოზი დავით ღამბაშიძე, ხოლო საქმის მწარმოებლადარჩეულ იქნა ილარიონ ჯაში,მის თანამშრომლადკი- ბატონი სერგი გორგაძე.

წერილის ავტორს საგანგებოდ მოჰყავს კრების თავჯდომარის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის სიტყვა, სადაც იგი (დ. ღამბაშიძე) ყურადღებას ამახვილებს იმ ცენტრალურ და მნიშვნელოვან პრინციპზე, რომელიც უკავშირდება ავტოკეფალიის მმართველობის აღდგენას. კერძოდ, იგი ბრძანებს:„მოგეხსენებათ, რომ ოთხ მღვდელმთავარს აქვს მიცემული სიტყვიერი განცხადება ეგზარხოსისადმი, რომ საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე მიეცეს ნება აღადგინოს ავტოკეფალური მმართველობა. იმედია მთავრობა შეიწყნარებს სამღვდელოების და საზოგადოების ასეთ თხოვნას და აღადგენს იმ უფლებას, რომელსაც იგი მოკლებულია რუსეთთან შეერთების დღითგან'' (მწყემსი, 1906,გვ.7).ზემოაღნიშნული კრების მუშაობა,- შენიშნავს წერილის ავტორი,- გაგრძელდა 18 დეკემბრამდე. თითოეული კრება კი გრძელდებოდა 6-7 საათამდე. ყველა კრების დაწვრილებითი ანგარიში და საბოლოო დასკვნა იწერებოდა ცალკე ოქმებად, რომლებსაც აწერდა ხელს ყველა დელეგატი. ამ ოქმებიდან გამოკრებელი სრული გეგმა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა უნდა წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საეკლესიო მომავალ კრებას(მწყემსი, 1906,გვ. 7). კრებამ, შენიშნავს წერილის ავტორი, აირჩია უმთავრესი საძმო თბილისში, რომელშიცთითოეულიეპარქიიდან შედიოდა თითო წარმომადგენელი. ამ საძმოს საბჭოს დაევალა სისრულეში მოყვანაიმისა, რაც შეიმუშავა დელეგატების კრებამ. ამის შემდეგ წერილის ავტორს სრულად მოჰყავს საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის პროექტი. ხსენებული გეგმის პროექტიდან მოვიხმობთ ამ გეგმისსათაურებს, რომლებიც საშალებას გვაძლევს აღნიშნული გეგმის საერთო შინაარსი და პრინციპებისრულადდა ნათლად იქნას გააზრებული:

1. განმარტება საქართველოს ეკლესიისა; 2. მისი მიზანი; 3. სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა; 4. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან; 5. საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილება (ტერიტორია და მისი დაყოფა) ; 6.სამღდელოება და მორწმუნენი; 7. მართვა გამგეობის ორგანოები; 8. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. საკათლიკოსო საბჭო და კათალიკოსი; 9. საეპარქიო კრება, საეპარქიო საბჭო და ეპისკოპოსი; 10. საოლქო სამმო კრება და საოლქო სამმო საბჭო; 11. მრევლი, სამრევლო კრება, სამრევლო საბჭო და კრებული; 12. ეკლესიის ქონებრივი უფლებაანი და სამღვდელოების რჩენის წესი. (მწყემსი, 1906 , გვ 8-15).

1910 წლის ჟურნალ მწყემსის მე -3 ნომერში გამოქვეყნდა დეკანოზ დავით ღამბაშიძის წერილი სათაურით:„საქართველოს ექსარხოსები''. აღნიშნულ წერილში, ავტორი ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოგვცემს საქართველოს ეგზარქოსების რიგობითობას და მათი საქართველოში მოღვაწეობის წლებს. (ღამბაშიძე, 1910, გვ.1-2).

დეკანოზი დავით ღამბაშიძე ახსენებსრიგით მე-14 ეგზარქოსს, ინოკენტის. წერილის ავტორი აფასებს რა ეგზარქოსობის მმართველობას, სამართლიანად შენიშნავს, რომ „მართალია ეხლანდელი საქართველოს მწყემსთა და სამწყსოთა გონებითი და ნივთიერი მდგომარეობა ძლიერ განსხვავდება პირველი ეგზარქოსობის დროს მწყემსთა და სამწყსოთა მდგომარეობისაგან. მართალია ბევრში ძლიერ წინ წავიწიეთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრშიც უკან ჩამოვრჩით და დავიქვეითეთ. ფარისევლურმა ცომმა ძლიერ დაამჟავა ჩვენი ეხლანდელისაზოგადოების ცხოვრება. ადვილად ივიწყებენ ჭეშმარიტებას და ქრისტიანული ზნეობის და ცხოვრების სახარების მცნებებს.'' (ღამბაშიძე, 1910: გვ.2).

დეკანოზი დავით ღამბაშიძე დაწვრილებით მიმოიხილავს იმდროინ-დელი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას და საკითხის კიდევ უფრო ნათელსაყოფად შენიშნავს შემდეგს: "ბევრი რამ სცადეს, ბევრი რამეები მოიფიქრეს და დღესაც კიდე ბევრ რამეს ფიქრობენ, რომ კეთილად წარემართოს ჩვენი საქმე აღდგინდეს ძველებურად სარწმუნოება და ქრისტიანული კეთილ-ზნეობა, მაგრამ სანუგეშო მოვლენეთა ვერ ვხედავთ'' (ღამბაშიძე, 1910, გვ. 2). იქვე წერილის ავტორი დანანებით შენიშნავს, რომ„ვრცელდება სარწმუნოებრივი გულგრილობა და „სუსტდება ქრის-ტიანული ზნეობა'' (ღამბაშიძე, 1910, გვ. 2). ყოველივე ამის კვალობაზე, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, როგორც ჭეშმარიტი მწყემსი, გამოსავლად გვთავაზობს ქრისტიანული მოძღვრების ფუნდამენტურ პრინციპს: სიყვარულს. კერძოდ, იგი შენიშნავს: "მიზეზი ყველა ამ სამწუხარო მოვლენეთა რაშია? რა გვაკლია და რა გვაბრკოლებს? ჩვენის აზრით ჩვენ გვაკლია ის, ურომლისოდაც არავის სარგებლობის მოტანა, საქმის გაკეთება და სამსახურის გაწევა არ შეუძლია, არც სასულიერო და არც საერო წოდების სამსახურში. დიაღ ჩვენ გვაკლია ქრისტესაგან ნაანდერძევი სიყვარული.'' ამის დასტურად წერილის ავტორს ვრცლად მოჰყავს პავლე მოციქულის სიტყვები სიყვარულის შესახებ(ღამბაშიძე, 1910,გვ. 3). ყოველივე ამაზე დაყრდნობით დეკანოზი დავით ღამბაშიძე გამოთქვამს იმედს, რომ ახლად დადგენილ ეგზარქოს ინოკენტისა და საქართველოს ეკლესის მესვეურებს

შორის დამყარდეს ქრისტიანული სიყვარული. „ყველა მწყემსნი,- წერს წერილის ავტორი,- მოვალენი ვართ, ნათლად დავანახოთ საქმე მათ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ყველა უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენში დაარსდეს ქრისტიანული სიყვარული, ერთობა და ძმური კავშირი'' (ღამბაშიძე, 1910, გვ.3). საქართველოს ახალ ეგზარქოსა და ჩვენ, მის სამწყსოთა შორის, კიდევ ერთხელ იმედიანად შენიშნავს წერილის ავტორი, დაარსებულ იყოს ეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულობა ღვთის სადიდებლად, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ და სანუგეშოდ მწყემსა და სამწყსოთა''(ღამბაშიძე, 1910,გვ.3)

დასკვნა

ქართველი მეცნიერების მიერსაქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები ისტორიოგრაფიული თვალსაზ-რისით, მეტად საინტერესოა, განსაკუთრებით ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის. აღნიშნულ ნაშრომებს, უდავოდ, გააჩნია მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულება, ამის დასტურია გამოკვლევის ისნაწილი, რომელიც თან ახლავს ისტორიული ხასიათის თხრობას. ქართველი მეცნიერების ნაშრომები საშუალებას გვაძლევს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისტორიოგრაფიაში ბევრ სადავო და საორჭოფო შეხედულებაზე შეგვიქმნას ობიექტური და მიუკერძოებელი აზრი. ამასთან ერთად ხშირად ქართველი მეცნიერები თავის ნაშრომებში კრიტიკულად აფასებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცე-ლებულ შეხედულებებს და საისტორიო წყაროთა ურთიერთ შეპირისპირების საფუძველზეეჭვქეშ აყენებენ მათ.

დამოწმებულიწყაროები და ლიტერატურა

Sadzaglov, G. (1887A). Kratki ocherk gruzinskoi tserkovnoi istorii. *Pastir*.№ 9.(Садзаглов, Г. (1887A). Краткий очерк грузинской церковной истории. *Пастир*. № 9).

Sadzaglov, G. (1887B). Kratki ocherk gruzinskoi Cerkovnoi istorii. *Pastir*.№ 10. (Садзаглов, Г. (1887A). Краткий очерк грузинской церковной истории. *Пастир*. № 10).

gorgadze, s. (1901).saqartvelos eklesia rodis gaeyara dasavletis eklesias: berznebt-an ertad tu shemdeg?. *mtskemsi*. № 22. (გორგაძე, ს. (1901).საქართველოს ეკლესია როდის გაეყარა დასავლეთის ეკლესიას: ბერძნებთან ერთად თუ შემდეგ? *მწყემსი*. №22)

vartagava, i. (1901A). ori umtavresi centri qartvelta ganatlebisa. tsm, jvris qartvel-ta monastery palestinasi. *mtskemsi*. № 18. (ვართაგავა. ი. (1901A). ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი პალესტინაში. *მწყემსი*.№ 18).

vartagava, i. (1901B). ori umtavresi centri qartvelta ganatlebisa. tsm, jvris qartvelta monastery palestinasi. *mtskemsi*. № 18-19. (ვართაგავა. ი. (1901B). ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი პალესტინაში. *მწყემსი*. № 19).

gambashidze, d. (1905). avtokefalia. *mtskemsi*.№ 21.(ღამბაშიძე, დ. (1905). ავტოკეფალია. *მწყემსი* № 21).

saqartvelos eklesia da samgvdeloeba utsin da exla. (1905A). *mtskemsi*. №11. (საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ეხლა. (1905A). *მწყემსი*. № 11.)

saqartvelos eklesia da samgvdeloeba utsin da exla. (1905B). *mtskemsi*. № 13.(საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება უწინ და ეხლა. (1905B). *მწყემსი*.№ 13.)

gambashidze, d. (1906). ra mdgomareobashia saqartvelos eklesiis agdgenis saqme. *mtskemsi*. № 5. (ღამბაშიძე, დ. (1906). რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე. *მწყემსი*. № 5.).

oqropiridze, l. (1906). sakuradgebod saqartvelos samgvdeloebisa. *mtskemsi*. №8. (ოქროპირიძე, ლ. (1906). საყურადღებოდ საქართველოს სამღვდელოების. *მწყემსი*. № 8.).

eklesiis martva-gamgeobis shesaxeb. (1906). *mtskemsi*. №1. (ეკლესიის ავტოკეფალიურ მართვა-გამგეობის შესახებ. (1906). *მწყემსი*. №2.).

gambashidze, d. (1910). saqartvelos eqsarqosebi.*mtskemsi*. №3.(ღამბაშიძე, დ. (1910). საქართველოს ექსარხოსები. *მწყემსი*. № 3).